განკარგულება:**გ-63. 632335925**
თარიღი:**25/12/2023**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სახლი თანადგომა"-ს 2024 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ თავი მე-3, მუხლი 16-ე, პუნქტი მე-3, პუნქტი 4, თავი მე-4, მუხლი 24, პუნქტი 2-ის შესაბამისად, განიხილა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სახლი თანადგომა"-ს 2024 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ხარჯის დამტკიცების საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სახლი თანადგომა"-ს 2024 წლის განსახორციელებელი პროგრამა. (დანართი N1).

2. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სახლი თანადგომა"-ს 2024 წლის შემოსავლები კლასიფიკაციის მიხედვით. (დანართი N2).

3. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სახლი თანადგომა"-ს 2024 წლის ხარჯი კლასიფიკაციის მიხედვით. (დანართი N 3).
4. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სახლი თანადგომა"-ს 2024 წლის მომსახურე შრომითი რესურსის სახელფასო გაანგარიშება. (დანართი N4).

5. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სახლი თანადგომა"-ს 2024 წლის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა სახელფასო გაანგარიშება. (დანართი N5).

დანართი N1

060201 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სახლი თანადგომა"-ს პროგრამა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამის განხორციელება.

აღწერა

· ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიური ცვლილების ფონზე, სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის დახმარება ააიპ „სახლი

თანადგომასათვის“ ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. დღეს, როდესაც ქვეყანაში მრავლადაა გაჭირვებული ოჯახები, მოთხოვნის შესაბამისად შესაძლებლობის ფარგლებში ხდება სხვადასხვა ფორმით მატერიალური დახმარების გაწევა.

· სოციალურად დაუცველ მოსახლეობას, რომლებსაც არ გააჩნიათ ფიზიკური შესაძლებლობა, არიან მარტოხელები, დავრდომილები, ინვალიდები, უსახლკარონი, ის პირები, რომლებიც მიეკუთვნებიან უმწეოთა კატეგორიას და არ გააჩნიათ ეკონომიური შესაძლებლობა იმისათის, რომ მთელი თვის განმავლობაში იკვებონ თავისი შემოსავლით, მათთვის ყოველდღიურად (კვირა დღის გარდა) სადილით უზრუნველყოფა (დღეში ერთხელ) უმწეოთა სასადილოში. ამ კატეგორიის მოქალაქეებზე გაიცემა 2-3 ცალი პური კვირაში ერთხელ. პური გაიცემა სულადობის მიხედვით. თუ ოჯახი სამი სულისაგან შედგება, მათ მიეწოდებათ 2 ცალი პური, ხოლო, სამი და მეტი სულისაგან შემდგარ ოჯახს 3 ცალი პური.

· ამ პროგრამის ამოქმედებით სამტრედიის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ უმწეოთა დიდი ნაწილი უზრუნველყოფილი იქნება საარსებო საშუალებით, რომლებსაც არ ექნებათ იმის საშიშროება, თუ როგორ დააღწიონ თავი შიმშილობას. ყოველდღიური სადილით, კვირაში ერთხელ პურის მიწოდებით, კუთვნილი პენსიებითა და სოციალური დახმარებებით ისინი უზრუნველყოფილნი იქნებიან საარსებო მინიმუმით. ამ პროგრამაში ჩართული იქნება სოციალური მუშაკები, რომლებიც ბინაზე მოემსახურებიან დავრდომილებსა და ღრმად მოხუცებს.

პროგრამის მიზანი:

სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით შესაძლებლობის ფარგლებში სხვადასხვა ფორმით მატერიალური დახმარების გაწევა.
ღონისძიება

· მოხუცთა საერთაშორისო დღეს ასი და მეტი წლის უხუცესთა ოჯახების დახმარება 3 ოჯახზე.

ქვეპროგრამა

5.2. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა:

5.2.1. მოხუცთა საერთაშორისო დღეს ასი და მეტი წლის უხუცესთა ოჯახების დახმარება 3 ოჯახზე.

5.2.2 ბავშვთა დაცვის დღეზე მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება 20 ოჯახზე.
5.2.3 ბავშვთა დაცვის დღეზე მკვეთრად გონება შეზღუდული ბავშვების ოჯახების დახმარება 80 ბავშვზე.

5.2.4 უფასო სასადილოს ბენეფიციართათვის სააღდგომი ამანათი 130 კაცზე.

5.2.5 უფასო სასადილოს ბენეფიციართათვის საშობაო ამანათი 130 კაცზე.

5.2.6 უფასო სასადილოს კვების პროგრამა 130 კაცზე.
5.2.7 სოციალურად დაუცველი და მარტოხელა ბენეფიციარებისათვის უფასო პურით სარგებლობა (360 კაცი).
06.02. სააღდგომო და საშობაო პროგრამები ითვალისწინებს რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნასა და სოციალურად დაუცველი მოსახლების (ბენეფიციარების) წახალისებასა და ამანათით დასაჩუქრებას.

· ბავშვთა დაცვის დღეზე მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება 20 ოჯახზე.

· ბავშვთა დაცვის დღეზე მკვეთრად გონება შეზღუდული ბავშვების ოჯახების

დახმარება 80ბავშვზე.

· სააღდგომო და საშობაო პროგრამები ითვალისწინებს რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნასა და სოციალურად დაუცველი მოსახლეობის (ბენეფიციარების) წახალისებასა და ამანათით დასახუქრებას.

რესურსი

ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსება.

შუალედური შედეგები
კვების უზრუნველყოფა მარტოხელა და სოციალურად დაუცველი მოქალაქეების, რომლებიც მიეკუთვნებიან უმწეოთა კატეგორიას.

შედეგები

· კვების უზრუნველყოფა მარტოხელა და სოციალურად დაუცველი მოქალაქეების, რომლებიც მიეკუთვნებიან უმწეოთა კატეგორიას.

· სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის შემსუბუქება.

· კმაყოფილი მოსახლეობა (ბენეფიციარები) სოციალურად დაუცველი მოსახლეობის (ბენეფიციარების) სადღესასწაულო ღონისძიებებში მონაწილეობა.

დანართი N2

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სახლი თანადგომა"-ს 2024 წლის შემოსავლები კლასიფიკაციის მიხედვით

შემოსავლების დასახელება	**თანხა (ათასი ლარი)**
სუბსიდია ბიუჯეტიდან	344.5
სულ შემოსავალი	344.5

დანართი N3

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სახლი თანადგომა"-ს 2024 წლის ხარჯები კლასიფიკაციის მიხედვით

	ეკ. კლას. კოდი	**ორგანიზაციული კოდი**	**სამტრედიის მუნიციპალიტეტი**	**სულ ჯამი სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან და საკუთარი შემოსავლებიდან**	**2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სუბსიდიით გასაწევი ხარჯები**	**2024 წლის საკუთარი შემოსავლებით გასაწევი ხარჯები**
1		**060201**	**ა.(ა).ი.პ. სახლი თანადგომა**	**344.5**	**344.5**	**0,00**

2			მომუშავეთა რაოდენობა	26	26	
2	2		ხარჯები	342.0	342.0	0,00
2	2.1		შრომის ანაზღაურება	138.5	138.5	0,00
3	2.2		საქონელი და მომსახურება	203.5	203.5	0,00
2	31		არაფინანსური აქტივების ზრდა	2.5	2.5	0,00
3	31.1		ძირითადი აქტივები	2.5	2/5	0,00

დანართიN4

ა.(ა).ი.პ. ,,სახლი თანადგომა“-ს 2024 წლის მოსამსახურეთა საშტატო განრიგი და სახელფასო გაანგარიშება

N	დასახელება	რაოდენობა	ერთი კაცის ხელფასი თვეში	თვის ხელფასი (ათასი ლარი)	წლიური (ათასი ლარი)
1	2	3	4	5	6
1.	,,სახლი თანადგომა~-ს დირექტორი	1	1265	1265	15180
2.	მთ. ბუღალტერი	1	973	973	11676
3.	წამ. სპეციალისტი მონიტორინგის საკითხებში	1	704	704	8448
4.	უფროსი სპეციალისტი მონიტორინგის საკითხებში	2	357	714	8568
5.	სპეციალისტი კადრების წარმოების საკითხებში	1	467	467	5604
6.	უმწეოთა და დავრდომილთა ბინაზე პურით და სადილით მომსახურე პერსონალი	6	484	2904	34848
7.	სოციალური მუშაკები სხვადასხვა პროგრამებით	2	490	980	11760
8.	საქმეთამმართველი	1	396	396	4752
9.	სპეციალისტი	1	396	396	4752
	ჯამი	16	5532	8799	105588/

	უმწეოთა სასადილოს საშტატო განრიგი და სახელფასო გაანგარიშება				
#	შრომითი რესურსების დასახელება	რაოდენობა	ერთ კაცზე თვეში	თვის ხელფასი (ლარი)	წლიური (ლარი)
1	2	3	4	5	6
1.	უმწეოთა სასადილოს მენეჯერი	1	600	600	7200

2.	უფროსი მზარეული	1	470	470	5640
3.	მზარეულის თანაშემწე	1	410	410	4920
4.	მზარეული	1	410	410	4920
5	დამლაგებელი სამზარეულოს	1	291	291	3492
6	დამლაგებელი დარბაზის	1	341	341	4092
7	ექიმი	1	220	220	2640
	ჯამი	7	2742	2742	32904

სულ ჯამი 23 8274 11541 138492

დანართიN5

ა.(ა).ი.პ. ,,სახლი თანადგომა"-ს 2024 წლის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო განრიგი და სახელფასო გაანგარიშება

N	დასახელება	რაოდენობა	ერთი კაცის ხელფასი თვეში	თვის ხელფასი (ათასი ლარი)	წლიური (ათასი ლარი)
1	2	3	4	5	6
1.	წამყვანი სპეციალისტი მონიტორინგის საკითხებში	2	962	1924	23088
2.	შესყიდვების სპეციალისტი	1	495	495	5940
	ჯამი	**3**	**1457**	**2419**	**29028**

ა.(ა).ი.პ. სახლი თანადგომაში დასაქმებულია სულ 26 თანამშრომელი მ/შ 23 შტატით და 3 შრომითი ხელშეკრულებით.

6. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი